საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2022 წლის იანვარი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2022 წლის იანვრის თვეში.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/6

2022 წლის 12 იანვარს №1-1/6 ბრძანებით დამტკიცდა სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების დაშლის წესი. ეს წესი განსაზღვრავს იმ საწარმოების დაშლის წესს, რომელთა წილების/აქციების 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო (შემდგომში – სამეწარმეო საზოგადოება/საწარმო).

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 240140000.22.024.016719

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №257 ბრძანება

2022 წლის 12 იანვარს „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით დამტკიცდა „დეკლარირების კლასიფიკატორის“ (დანართი №19), რომლის მიხედვით განისაზღვრა საბაჟო გამშვები პუნქტების კოდი და დასახელება.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017545

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და ძალაშია 2022 წლის 1 ივლისამდე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №322

2022 წლის 17 იანვარს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და:

1. პირველი მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45^3 მუხლის პირველი პუნქტის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

კანონის მე-6 მუხლის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „იზოლაციისა და კარანტინის წესები“.“.

ამავე დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-11 მუხლის ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„4. კორონავირუსის შემთხვევასთან კონტაქტირებული ფიზიკური პირი, „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულებითა და ამ მუხლის 4^1 და 4^5 პუნქტებით განსაზღვრული გამონაკლისების გარდა:

ა) არ ექვემდებარება იზოლაციას, ამასთან, ეძლევა ნიღბის მოხმარების მკაცრი რეკომენდაცია მაღალი რისკის კონტაქტის შეწყვეტიდან მომდევნო 10 კალენდარული დღის განმავლობაში (მ. შ. დაბალი რისკის გარემოში მოხვედრისას):

ა.ა) ბუსტერდოზით ვაქცინაციის შემთხვევაში;

ა.ბ) პირველადი ვაქცინაციის მე-2 დოზის მიღებიდან 14 – 90 დღის განმავლობაში;

ა.გ) კოვიდის ინფექციის გადატანიდან 60 დღის განმავლობაში;

ბ) ექვემდებარება იზოლაციას მკაცრად 8 დღის განმავლობაში, ამასთან, ეძლევა ნიღბის მოხმარების მკაცრი რეკომენდაცია მომდევნო 9 – 12 კალენდარული დღის განმავლობაში:

ბ.ა) არავაქცინირებული პირების შემთხვევაში;

ბ.ბ) არასრულად ვაქცინაციის შემთხვევაში;

ბ.გ) პირველადი ვაქცინაციის მე-2 დოზის მიღებიდან 1 – 14 დღის განმავლობაში;

ბ.დ) პირველადი ვაქცინაციის მე-2 დოზის მიღებიდან 90 დღეზე მეტი ხანგრძლივობისა და ბუსტერდოზის არმქონე პირების შემთხვევაში;

ბ.ე) კოვიდის ინფექციის გადატანიდან 60 დღის შემდგომ პერიოდში.“;

ბ) 4^1 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნა.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 470230000.10.003.023221

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

დადგენილება ამოქმედა 2022 წლის 17 იანვრიდან.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №144

2022 წლის 26 იანვარს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილზე საკუთრების უფლებით მიკუთვნებული მიწის ნაკვეთის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 25 მარტის №144 დადგენილებაში შეტანილ იქნა რიგი ტექნიკური ხასიათის ცვლილებები.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040150000.10.003.023236

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე

საქართველოს მთავრობის დადგენილება №455

2022 წლის 31 იანვარს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესებისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის №455 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესებისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის“:

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 240090000.10.003.023253

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდა 2022 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge